



# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 221.

კვირა, 23 მაისი 1904 წ.

ბაჭათის № 2502.

### პასუხი პითონის მსურველს

ის მხალაა, ვისაც ბედის  
ქსნანს, ერთს მის წინა;  
ის მხალაა, ვინც რომ შიშით  
კანანა, ღამისა.

შე ეს არ მსურს: ჩემს ხელთ  
მინდა ვნებელიც წემა ბედა,  
მინა არ ვარ, რომ მტრედას  
შოუწინაო დაზღა ქედი!

ცხოვრების გუგუნ-გრადას  
შეგურობე ჩემს გულის შესს;  
ზიხლით გუგუნ შე ვასუსს  
შედაღურებს, შიდაურ-გუგუნებს.

და ამიტომ ხანგს დაემდერ:  
„არა ვდრეკმა ბედის წინა;  
სირსხვილია მის, ვინც რომ შიშით  
კანანა, ღამისა!“

### ა. ეგლაშვილა

მეორედან, ფეხის წვერებზედ დგებოდნენ  
და გაფაციებით ჰკითხულობდნენ:

— რა არის, დედა? ვინ არის, დე-  
და?

დედა-მამა ვასუსს არ აძლევდა. ბავშვები  
მალ-მალე, თითქოს გახურებულ რკინა-  
ზედა უღვათ ფეხით, ხან ერთს აიღებ-  
დნენ, ხან მეორეს, მაგრამ ფანჯარას არ  
შორდებოდნენ და დედას ხან ქალთაში  
ეწვიოდნენ, ხან ხელში. ბოლოს უფრო-  
სმა ვაჟმა, როგორც იყო, მოახერხა დედა-  
მამის შუა გაძრომა და წამოიძახა:

— დედა, დედა, გიგოი... ლობეს ანტე-  
რეცს... შეხე... შეხე... დედა, ანდროს  
უპურე, შორბის... შეხედე, დედა, გი-  
გოც გამოიქცა... წაიქცა, დედა, წაიქ-  
ცა! — შესწვილა ბავშვმა და დაიწყო ხათ-  
ხათი.

გულ-უბრყვილო ბავშვს ეგონა, დედა-  
მამა ამას არა ჰხედდესო და უნდოდა  
მათი ყურადღება მიექცია, მაგრამ დედა



ღვთის ანანას მატარებულა. — სურათი ღვთის ბრეტონისა.

## შინა

(დახსრული)

ყარამანს თან-და-თან მოუსვენრობა დაეცუო: ხან ერთ  
ფანჯარის კუთხეში იხედებოდა, ხან მეორეში. ბოლოს ეს  
მოუსვენრობა იქამდის მივიდა, რომ დარბოვაც შეატყო  
და ცნობის მოყვარობით გატაცებული ფანჯრისკენ გვეშუ-  
რა. პატარა ხანს უკან ბავშვებოც წამოიცივდნენ ლოგინი-  
დან და საბნებ-წამოსხმულნი, ფეხ-შიშველა იმავ ფანჯარას-  
თან მიიბრუნეს. ყარამანი და დარბო აფარებულნი იყვნენ ფან-  
ჯარას და ბავშვები ხან ერთი გვერდიდან უბრუნდნენ, ხან

მამა ყველაფერს კარგად ჰხედდავ და იმათ გულს ეს გა-  
რემოება არც აწუხებდა და არც აკინებდა. ისინი თვალს  
აღვენებდნენ სანამ ის ხალხს არ მოეფარა, მერე კი შემო-  
ტრიალდნენ და მიჩერდნენ კარებს, სიდანაც ბიჭი უნდა  
შემოსულიყო.

არ გასულა ორი წამი, რომ ბიჭიც შემოვიდა მომც-  
ნარის და შეწინებულის სახით, საქაროდ მივიდა ბუხართან,  
დაჰყარა შეშა და ვადაჰხედა ბატონებს.

— რა ჰქენი? — ეთიომ არაფერი და უნახავსო, ჰკითხა ყა-  
რამანმა.

ბიჭმა თავი გიდაქან-გაღლოქანია.

— მივიპარე ჩუმათა და რა დაუწყე ნტვრევი, აკი არ  
დამინახა ანდრომა, გამამეილა... და ჰქი! — მოგუკურცხლიე...

\*) იხ. „დამატება“, № 219.

ბავშვები სიცილით იხილებოდნენ, ცოლ-მარი ილი-მებოდა.

— არა უშვას რა, შენ ერთი წყალი მოაბრუნენე, პირები დაიბანათ... — სიცილით უბრძანა ყარამანმა.

ბიჭმა მიხედ-მოიხედა, წამოავლო დოქებს ხელი და გავიდა. დარიკო ბუხარს მიუჯდა, ბავშვებმა ტან-წყას მი-ჰყვეს ხელი.

— რა დაგეშართა, ქალო, ვეღარ ააღუდე ე სამოგარო? — შერიგების კილოთი მიუბრუნდა დარიკოს ყარამანი.

— რა ეჭმა, ნაცერჩხალი რომ არ იყო, რითი ამედუ-ლებინა, აი ვხლა კი მალე ექნება! — იმავე კილოთი მიუგო დარიკომ, გადმბურია მუხლზედ რამდენიმე დერი შეშა და შეუკვთა ბუხარს. ბუხარმა გუგუნე დაიწყა.

ნახევარ საათის შემდეგ შთელი ოჯახი პირდაპირილი და დავარცხნილი უხსდა ვარს ჰუჭყინ სუფრა - გადაფარებულ უბრლო, ვიწრო მაგიდას და გულმოდგინეთ, ხენეშით და ოფდის წურვით ჰხერედა „კრიპსტიო“ ოდნავ შეუთლმ-ბულ ცხელ წყალს.

ყარამან ფერაძეს ერთი დრო კარგი ჰქონდა. იმისი მ-მული ბევრს თავადიშდისაც შეენატრებოდა. სახნაგ-სათესის და წვრილ ტყეების გარდა ჰქონდა ტყე ორი ათასი დღისა, საიდანაც ხელ-გაუნძრევლად წელიწადში სამას-ოთხასი თუმ-ანი შემოსდიოდა, მაგრამ ეს შემოსავალი ყარამანს არ ჰყოფ-

ნიდა. ცხენი, ლენიო, ქალები, ქეიფი და ქეიფის დროს სხვა-და-სხვა უცნაური გადარევა ყარამანის საყვარელი საქმე და ცხოვრების მიზან იყო.

„ყარამანი ჰქეიფობს“, „ყარამანს მესურნეებისათვის ათი თუმანი მიუცია“, „ნიკოს დუქანი დაუმტვრევია“, „კარაპეტა გულახავს“, „მეტლუე დაუნებია“ — გაიძახოდა ქეიფის მეორე დღეს ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ყარამანს დაერქვა, მო-ქეიფე და მხარჯავი კაცი. მედუქნეები იმის მზეს ფიცქულომ-დნენ, მესურნეებმა პრტყელი ფვრცლის ქამრები შემოიკრეს, ზოგმა სახლიც აიშენა. ყარამანმა თავის წრეში სახელი დიმი-სახურა, პატეი მოიპოვა, ყველა ქელს იხრიდა, ფე-ქემ-ეგებოდა. ყარამანსაც სწორედ ეს უნდოდა. მაგრამ ჰქეი-ნური, შიავალ მაგალითედ დამყარებული ხალხური ანდ-აზა: „ერთი დრო კაცს არ შერჩებოა“, ყარამანზედც გამართლ-და. შემოსავალი არა ჰყოფნიდა, ქეიფს კი ქეიფი ემატებო-და და ვალს — ვალი. არც თვითონ ყარამანმა, არც სხვამ და არც მოვალეებმა არ იცოდა, რამდენი იყო ეს ვალი. ყ-არამანს ფულს არაფინ არ უქერდა და თხოვნასაც ვერაფინ ვერ უბედიდა. ასე მატულობდა ვალი, სანამ ერთმა თავზე ხელ-აღებულმა სომეხმა არ უჩივლა და არ აღუწერა მამული. იმის მაგალითით სხვაც გათამამდა, სხვაც მიჰყვა და ერთ მშენიერ დღეს ის ორი ათასი დღის ტყე ყარამანს გაუყიდეს. ბევრი იხალიშა ყარამანმა, ბევრი იწვალა, ბევრი ფხი-ფუხი გასწია, ის სომეხი მძიმედაც დასჭრა, მაგრამ სომეხი ამპობდა: „შე

ქართულთა შორის წარა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების 25 წლის იუბილის გამო



ბათუმის სკოლა.



ბათუმის სკოლის მოწაფენი.



ბათუმის სკოლის მოწაფენი.




ძველ-სენასიკ სკოლა.

თუ მამკლამს ჩემი შეილები დარჩებიან“-ო, და მამული არ დაუბრუნა.

ჯავრობდა ყარამანი, სწუხდა, მაგრამ იმაზედ უფრო ჰფიქრობდა, რომ იმის სახელს არ დაეწოა ქვიფის და დროს გატარების ასპარეზზედ; ამიტომ ყარამანმა ვითამც არაფერად შეიგნნია ეს დანაკლისი და ქვიფის უმატა და როდესაც ვინმე სამომხარს ეტყოდა, ამაყად უპასუხებდა: „იიჰჰ, ცოცხალი ვიყო, თორემ“...


ეს „თორემ“ ის იყო, რომ სერთი ათი ღლის მიწა გაპყიდა და შემდეგ მიჰყვა ნელ-ნელა ნაქრობით მამულის ყიღვის, სანამ იქამდის არ მივიდა, რომ დარჩა სახლ-კარის აღ-



გამართის სკოლა.

— კვერცი მიინც არ არის?  
— არა!  
— მაშლოლობის მეტი არაფერი გვაქვს?  
— არაფერი.  
— ეჰ, გააკირასაქმე მეგ ლობიოში!..  
— მგონი ჩვენ უფრო გაუტირეთ საქმე ლობიოს! — უწყაყოფილოდ წარმოსთქვა დარიკომ.


ყარამანი გატროილა, ფანჯარასთან მივიდა და სოფელს გახედა. ჩაიმ გაძლომის მაგიერად მაქდა უფრო გაუხსნა. თუ მართლა ლობიო ძა-



კაკეჲის სკოლა და კკლეხია.



კაკეჲის სკოლის სათაერთო დარბაზი.



კაკეჲის სკოლის სათაერთო დარბაზი.



კაკეჲის სკოლის მოჲაჲენი.

გილი და რამდენიმე ღლის მიწა, ისიც უფარგისი. ჩაის სმა რომ ვაათავის, ყარამანმა გაიარ.გამოიარა, თუ-თუნი მოსწია და მიუბრუნდა ცოლს:  
— სადილოდ რა გვექნება დღეს?  
— რა უნდა გვექონდეს: ლობიო!—ცოტა არ იყოს გაკვირვებით მიუგო ცოლმა.  
— დაგველა რამე!—უთმელთა უთხრა ყარამანმა.  
— რა დაგველა, სამი დედალიდა დავგვრა, ვე არის ჩვენი საშენებელი.

ლიან მოზებრდა, კაცმა არ იცის, მაგრამ ეს კი იყო, რომ ყარამანი ღღევანდელ სადილზე ფიქრებმა მიუღოდ მოიკცეს. ბეერი იტება თავი, რა მოეგვარებინა, რა ეშოვნა სადილოდ, მაგრამ ვერა აზრზედ ვერ მივიდა. ფული არა ჰქონდა, ნღობა სოფელში დიდა ხანია დამკარვა, სესხად ფრინველს ან რამე საქლავს არავინ მისცემდა, ხასიათი კი მტკიცე და გინიანი ჰქონდა: თუ რასმეს მოიფიქრებდა და გულით მოიფიქრებდა, რომ არ შესერულებინა, შეუტლებელი იყო.

კომისიის — კარტოფილი მიანიც არა გვაქვს? — ერთი კიდეც სცადა ყარამანმა და მობრუნდა დარიკოსკენ.

— სადა გვაქვს კარტოფილი, ვინ მოგვცა? — დაუნდობლად უპასუხა ცოლმა.

ყარამანი უკუბრუნდა ისევ ფანჯარისკენ და სტენა დაიწყო. უკუბრუნდა მისი ყურადღება რაღაც მიიქცია, რაღაცას ძალზედ აკვირდებოდა, ერთ ალაგს თვალს არ აშორებდა და გაჯავრებულად დრო-გამოშვებით თავს აქნევდა. ბოლოს გამოტრიალდა, კედლისაკენ გავიშრა და თოფი ჩამოიღო.

ცოლმა გაკვირვებით შეხედა ქმარს, შეიღვინა ჩაის მიანებეს თავი და შიშით შეხედეს მამას, მაგრამ ყარამანმა არა სთქვა რა, შალი ტახტზედ მოსაროდა და ბურტყუნით კარში გავიდა.

ქმრის გასვლისთანავე დარიკო წამოდგა, ბავშვები დატრუსა, რომ ისინიც არ გაყოლოდნენ კარში და გარედ გავიდა. ყარამანი მიანგრევედა თოვლს და ვენახისკენ მიდიოდა; დარიკომ გააყოლა თვალი, საითაც ყარამანი მიდიოდა და ვენახში ღიანახა... ღორი.

ღორი დასდგომოდა ერთს ადგილს, სადაც ნაკლებად იყო თოვლი, დინგით დასულიყო მიწაზედ, დრო გამოშვებით აქეთ-იქით იცურებოდა, ღრუბუნებდა და მიწაში რაღაცს ძებნდა. ყარამანი ეწარებოდა დაკუზული, სიფრთხილი და სკადილობდა ტყემლის ხემდის მიღწევა, საიდანაც შეეძლო დაბეჯითებით მიხანა აეღო. ღორმა შეაშინა ყარამანი, მაგრამ ყური არ უგლო და თავის საქმეს განაგრძობდა. ყარამანმა, როგორც იყო, მიატანა ტყემალს, მიუტედა ხეს და გაუშვირა თოფი. დარიკო მთლიან მოიკუნტა და სული შეიფუხა. თოფმა იგრილა. ღორი დაცვა, წამოვიდა, ისევ დაცვა და მოორთ საშინელი ყვირილი. თოფის ხმაზედ ახლო-მახლო მესობლები კარში გამოიკვიდნენ და ლობებებს მოადგნენ. ყველამ იცოდა, რას მოსწავებდა ყარამანის ვენახში თოფის ხმა.

— გოგოს დაუძახეთ, გოგოს... — მიავიყრა სახალში ყარამანმა და ღორისკენ გასწია.

ღორმა შესწყვიტა ყვირილი და უძრავად ედღა.

— ვისია, ვისია ღორი? — ჰკითხულობდა ყველა, ვინც კი ლობეს მოადგებოდა.

— ვანოსია მგონი...

— ვანოსია კი არა...  
— ლექსოსია...  
— არც ლექსოსია...  
— უი მელანასია! — შეწყვირა ერთმა პატარა გოგომ, როცა ყარამანმა ხელი მოჰკიდა ღორს და გაათრია.  
— მელანასია? მართლა მელანასია! საწყალი მელანასია!  
— მელანო, მელანო, შენი ღორია, შენი! — მიამხებეს ერთ გლეხის დედაკაცს, რომელიც გამოსულიყო კარში და ელოდა, ამბავს ედ მოუტანდა.

მელანამ იქვე შექვილა, ღლებთან საჩქაროდ მიიჭრა, ღორს გადახედა და თავ-პირში წაიშინა.

— უი, უი... უი დამიღვც თვალები... მიშველეთ, მიშველეთ, ადამიანებო, ხალხი არა ხართ? ამამადლო ამ კაცმა, ცუცხლზედ წყალი დამისხა... მე აქ აღარ მედგომებო... უნდა ვაღვარდეს სადმე... აღარაფერი შემარჩინა... რათ მოკალი? — მიბრუნდა ყარამანს ხრინწიანის ხმით გაფთვრებულ მელანას: — რათა? რა დაგიშავა? რა წაგინდინა? შენ თვითონ სათოფე, შე ურჯულყო, ურჯულყო!

ყარამანს ბიჭიც მოეშველა, ერთ ფეხში თვითონ მოჰკიდა ხელი, მეორეში ბიჭს მოაკიდებინა და ადგილიდან დაიძრინა.

— რა უბედურობა! — გაიძახოდა ერთი მოხუცი: — რა წაუბნინა ახლა ამ შუაგულ ზამთარში. რა არი, ყაჩაღობა, თუ რა არი? შემოლობოს მიანიც: შემოელობავე პირუტყვი გადაე, მა რას იხამს?

— ეპ, შეილო, ბავშვს ჰკითხეს, რათა სტრიო? — გაიძინდა და ესტრიო! გაუღიმა მავათაც და რასაც უნდა, იმას ჩაიღინა!

— წაიღეს! გაძეხი... გაძეხი! — მიჰყვიროდა დაოსებული მელანა: — შვირო!... შვირო!... ხომ ვიცო, საქმელი არა გვაქვს?.. ჩაბუთეთ... ჩაიკეცხეთ... ჩაიკეცხეთ შენ შვირ შეიღვინა!.. შენც მინახებარ გამწარებული შენს შეიღვინებუდ, როგორც მე მხედვე გამწარებულს... შე სულ-ძაღლო... სულ-ძაღლო...

ყარამანი და ბიჭი სვენებით მიათრევდნენ სახლისკენ ღორს.

ს. ვაფანა.

ს ა ა ღ რ ი მ ა მ შ ლ რ ბ ა ნ ა ი .



მიშვანა.



მხალა.